# XIV თავი

## სტუდენტის წახალისება და დისციპლინური საქმისწარმოება

ბსუ-ს სტუდენტის წახალისებისა და დისციპლინური საქმისწარმოების რეგულაცია განსაზღვრულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ' საქართველოს კანონის 43-ე მუხლით, **„ბსუ-ს შინაგანაწესის** დამტკიცების შესახებ „ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 6**) და ბსუ-ს ეთიკის კოდექსით.

1. **წახალისების პროცედურა განსაზღვრულია ბსუ-ს შინაგანაწესით, რომლის თანახმად:**

სწავლასა და სამეცნიერო კვლევებში მიღწეული წარმატებისა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი სახეები:

ა) მადლობის გამოცხადება (გამოცემა ფაკულტეტების დეკანების ან/და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება).

ბ) ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცმა (ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობით ბრძანებას გამოსცემს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის ან სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის და სამსახურის ან სტუდენტთა თვითმმართველობის წერილობითი მომართვის საფუძველზე);

გ) ადრე შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა (გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით);

დ) ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობის სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა;

2. **სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების წესი დადგენილია ბსუ-ს შინაგანაწესით.** დისციპლინური წარმოების საკითხს იხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

სტუდენტის/მსმენელის მიერ ბსუ-ს შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, გადაცდომის ფაქტის მოწმე უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული ან დამხმარე პერსონალი ვალდებულია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სახელზე შეადგინოს სამსახურებრივი ბარათი, სადაც უნდა იქნეს მითითებული დამრღვევის ვინაობა, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ადგილი და დრო, გადაცდომის არსი და მოწმეთა ვინაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული ბარათი საფუძველია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

სტუდენტის/მსმენელის მხრიდან სექსუალური შევიწროების აკრძალვის სავარაუდო დარღვევის საკითხთან დაკავშირებული დისციპლინური საქმისწარმოება ხორციელდება ბსუ-ს რექტორის

ბრძანებით დამტკიცებული **,,სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის“** (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N31)** შესაბამისად, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, რა დროსაც სტუდენტი/მსმენელი სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსითა და ბსუ-ს წინაგანაწესით განსაზღვრული უფლებებით. *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 6 აგვისტოს N07-01/45 გადაწყვეტილებით)*

დისციპლინური გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებით საქმისწარმოება შეიძლება დაწყებული იქნეს, თუ გადაცდომის ჩადენის დღიდან არ არის გასული 6 თვეზე მეტი.

დეკანის ბრძანება დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ უნდა გამოიცეს დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს 30 დღისა და იგი შეიძლება იყოს შემდეგი სახის:
ა) სტუდენტის (მსმენელის) მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ;
ბ) სტუდენტისათვის (მსმენელისათვის) ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ–ერთი დისციპლინური სახდელის (შენიშვნა/გაფრთხილება/სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა) შეფარდების შესახებ.

დეკანის ბრძანება სტუდენტისათვის დისციპლინური სახდელის - უნივერისტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის - დაკისრების შესახებ, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

რექტორი უფლებამოსილია ძალაში დატოვოს დეკანის გადაწყვეტილება, მოტივირებული ბრძანებით შეუცვალოს სტუდენტს/მსმენელს შეფარდებული სახდელი ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა (მსუბუქი ან მკაცრი) სახდელით ან გააუქმოს დისციპლინური სახდელის დადების თაობაზე დეკანის გადაწყვეტილება.

ბსუ-ს რექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შეუწყდება სტუდენტს, რომელიც:
ა) დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ან/და ნებართვის გარეშე გამოიყენებს (ხელყოფს) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (გაფრთხილების მიუხედავად განაგრძობს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ან სხვა ფართის სარგებლობას ან/და იმ კომპიუტერული ან სხვა ტექნიკის გამოყენებას, რომელიც არ არის განკუთვნილი სტუდენტთა მოხმარებისათვის);
ბ) ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას, რისთვისაც შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი – გაფრთხილება;
გ) გამოცდაზე შევა სხვა სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა პირს;
დ) ჩაიდენს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევას (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N27).** *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის N07-01/20 გადაწყვეტილებით)*
ე) გამოიყენებს ან/და სხვას მიაწვდის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომხმარებლის პირად ინფორმაციას (პაროლი და კოდი) ან/და საგნის ლექტორის ნაცვლად

აწარმოებს თავისთვის ან სხვა სტუდენტისათვის შეფასებას (აღრიცხავს). (ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის N01 გადაწყვეტილებით)

ვ) დაარღვევს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ აკრძალვას, რაც წინამდებარე შინაგანაწესის ან/და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტით" გათვალისწინებული დისციპლინური საქმისწარმოების/მოკვლევის შედეგად შეფასდება, როგორც ძალიან მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევა/გადაცდომა. *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 6 აგვისტოს N07-01/45 გადაწყვეტილებით)*

რექტორის გადაწყვეტილება სტუდენტის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე საბოლოოა, რომელიც სტუდენტის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

3. **დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:**

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ)დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს (ფაკულტეტის დეკანს) თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს შესაბამისი კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.